



ბერლინი მოგიწოდებთ მოქმედებისკენ THE BERLIN CALL TO ACTION

კულტურული მემკვიდრეობა ევროპის მომავლისთვის

პრეამბულა

2018 წლის კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წელი ([European Year of Cultural Heritage](#)) მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპის კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისთვის. ეს არის ბიძგი კულტურული მემკვიდრეობის სფეროში, რომელიც დაგვეხმარება დავაკავშიროთ ერთმანეთთან ევროპის მოქალაქეები და საზოგადოებები და ზოგადად, „ევროპულ პროექტს“ მივანიჭოთ უფრო სიღრმისეული მნიშვნელობა. მოქმედების დროა.

აღნიშნული პროგრამა - “Berlin Call to Action” („ბერლინი მოგიწოდებთ მოქმედებისკენ“) წარდგენილია ევროპის კულტურული მემკვიდრეობის სამიტზე ([European Cultural Heritage Summit](#)) 2018 წლის 22 ივნისს, ბერლინში, სამი თანამასპინძელი ორგანიზაციის მიერ - კერძოდ, ევროპა ნოსტრა ([EUROPA NOSTRA](#)) კულტურული მემკვიდრეობის ხმა ევროპაში; კულტურული მემკვიდრეობის გერმანული კომიტეტი ([DNK](#)), რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წლის კოორდინატორია ეროვნულ დონეზე გერმანიაში და კულტურული მემკვიდრეობის პრუსიული ფონდი ([SPK](#)), რომელიც ფუნქციონირებს ბერლინში.

კულტურული მემკვიდრეობის პირველმა ევროპულმა სამიტმა, რომელიც ჩატარდა კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წლის (EYCH) ფარგლებში, 2018 წლის 18-24 ივნისს ბერლინში, თავი მოუყარა მოქალაქეებს და ორგანიზაციებს მთელი ევროპიდან. მათ შორის იყვნენ დაწესებულებების, ასოციაციების, ფონდებისა და უნივერსიტეტების, ასევე, ადგილობრივი თემების, რელიგიური საზოგადოებების წარმომადგენლები; ყველა, ვინც მუშაობს კულტურული მემკვიდრეობის დარგში - არქიტექტორები, მუზეოლოგები, რესტავრატორები, ოსტატები, ისტორიული სახლებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კერძო მფლობელები, მკვლევარები და მასწავლებლები; საჯარო და ფინანსური დაწესებულებების წარმომადგენლები; პარტნიორები, სტარტაპერები, ხელოვნებათმცოდნეები, ჟურნალისტები, ფოტოგრაფები, სტუდენტები და ახალგაზრდა მოხალისეები; კულტურის მინისტრებთან, ისტორიული ქალაქების მერებთან, ევროპული,

ეროვნული და რეგიონალური პარლამენტის წევრებთან, ევროკავშირის წარმომადგენლებთან და ასევე, ევროპის საბჭოს, იუნესკოს, ICCROM და მრავალი ევროპული კულტურული მემკვიდრეობის სტრუქტურებთან ერთად.

“Berlin Call to Action” - ის („ბერლინი მოგიწოდებთ მოქმედებისკენ“) შთაგონება და ლეგიტიმაცია მოდის იმ ადამიანების გამოცდილებიდან, ენთუზიაზმისა და ჩართულობიდან, ვინც ზრუნავს კულტურულ მემკვიდრეობაზე (მატერიალურ, არამატერიალურ და ციფრულ) და ვინც, როგორც პროფესიონალი ან მოხალისე, თავის გამოცდილებას, დროსა და ენერჯიას უძღვნის კულტურული მემკვიდრეობის გადაცემას მომავალი თაობებისათვის. მათი სამუშაოს ეკონომიკური ღირებულება ძალიან დიდია; ხოლო სოციალური და კულტურული ღირებულება კი შეუფასებელი.

“Berlin Call to Action” („ბერლინი მოგიწოდებთ მოქმედებისკენ“) დამყარებულია კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წელიწადის ეროვნული კოორდინატორების ([EYCH national coordinators](#)), პარტნიორების კომიტეტის ([EYCH Stakeholders Committee](#)), ასევე, ევროპული კულტურული მემკვიდრეობის ალიანსი 3.3 - ის ([European Heritage Alliance 3.3](#)) წევრების წვლილსა და თანადგომაზე.

ყველას, ვინც ზრუნავს ევროპის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე შეუძლია დარეგისტრირდეს, მხარი დაუჭიროს და გაავრცელოს ინფორმაცია Berlin Call to Action - ის („ბერლინი მოგიწოდებთ მოქმედებისკენ“) შესახებ.

ბერლინი მოგიწოდებთ მოქმედებისკენ

THE BERLIN CALL TO ACTION

ჩვენ, ქვემოთხელისმომწერი მოქალაქეები, ორგანიზაციები და დაწესებულებები... მზად ვართ, ავიღოთ პასუხისმგებლობა, გამოვიყენოთ მოცემული შესაძლებლობა და საერთო კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალი, რათა ევროპა გავხადოთ უფრო მშვიდობიანი, წარმატებული, ინკლუზიური.

დღეს, კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წლის ფარგლებში, ჩვენ გვაქვს უნიკალური შესაძლებლობა, რომ გავლენა მოვახდინოთ მომავლის ევროპაზე. ბევრი გამოწვევისა და საფრთხიდან გამომდინარე, რომელიც ემუქრება ევროპულ ღირებულებებს, საუბარი არ შეიძლება მხოლოდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან უსაფრთხოების საკითხებზე. ჩვენ უნდა „შევეცვალოთ საუბრის მანერა“ ევროპის შესახებ და თავისი ადგილი მივუჩინოთ საერთო კულტურულ მემკვიდრეობას: ევროპის პოლიტიკისა და პრიორიტეტების შუაგულში.

რატომ? იმიტომ, რომ...

1. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა განსაზღვრავს ჩვენს ევროპელობას, რადგან ის ასახავს ჩვენს განსხვავებულ და საზიარო ღირებულებებს, კულტურებსა და მოგონებებს. შესაბამისად, ეს ევროპის „მრავალფეროვნების გაერთიანების“ ნამდვილი განსახიერებაა და გვეხმარება გავუძლიოთ გამოწვევებს, რომლებიც წარმოადგენენ საფრთხეს ჩვენი საზოგადოებისთვის;
2. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა აერთიანებს ჩვენი იდენტობის მრავალ ფენას - ადგილობრივს, რეგიონალურს, ეროვნულსა და ევროპულს; აღნიშნული ფენები მჭიდრო კავშირში არიან, აძლიერებენ ერთმანეთს და მუდმივად ვითარდებიან;
3. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა კვებავს ჩვენს მიკუთვნებულობის გრძნობას ადგილობრივი საზოგადოების მიმართ და ერთიანობისა და სოლიდარობის გრძნობას ევროპაში;
4. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა აკავშირებს თაობებს, რადგან ის ასახავს საზღვრებს მიღმა ხალხთა მოძრაობებს და იდეებს საერთო ისტორიის საუკუნეების განმავლობაში. ამგვარად, ეს არის პატივსაცემი და მდიდარი ინტერაქციის საფუძველი ევროპის საზოგადოებებს შორის, და ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა კულტურებთან მიმართებით;
5. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა ამყარებს კავშირს ჩვენს წარსულსა და მომავალს შორის. ის საშუალებას გვაძლევს დავეყრდნოთ ჩვენს კულტურულ ტრადიციებსა და ისტორიას, მაშინ, როცა ის გვეხმარება განვკურნოთ ჭრილობები და გამოვასწოროთ წარსულის შეცდომები. ის, ამასთანავე, მუდმივი

კრეატიულობისა და ინოვაციის შთაგონების წყაროა. კულტურული მემკვიდრეობა მუდმივი სწავლისა და შთაგონების წყარო, აქტიური და საპასუხისმგებლო მოქალაქეობის საფუძველია;

6. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა მდგრადი განვითარებისა და გაძლიერებული სოციალური ერთობის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ის ასევე, პირდაპირი და არაპირდაპირი შრომის წყაროა;
7. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა ისევე როგორც ადამიანის მიერ შექმნილ, ასევე, ბუნებრივ გარემოს ანიჭებს ჰარმონიასა და სილამაზეს. შესაბამისად, აუმჯობესებს ჩვენს კეთილდღეობას და ცხოვრების ხარისხს.

წელს, როდესაც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ([Universal Declaration of Human Rights](#)) 70 წლისთავია, რაც გულისხმობს, რომ კულტურული მემკვიდრეობის უფლება წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებას; რომ კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წლის ფარგლებში ჩვენ მიგვიძღვის წვლილი ევროპული და საერთაშორისო მრავალი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების ([relevant policy documents](#)) საფუძველზე მიღებული პრინციპების ჩამოყალიბებაში, ახლა დროა გარდავექმნათ აღნიშნული პრინციპები აქტიურ მოქმედებაში და მივიღოთ მატერიალური შედეგები ევროპისა და მისი მოქალაქეებისთვის:

ქმედება 1 კულტურული მემკვიდრეობის ევროპული სამოქმედო გეგმის შემუშავება

გვსურს შევექმნათ კულტურული მემკვიდრეობის ევროპული სამოქმედო გეგმა, რომელიც მომავალში გახდება კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წლის ხანგრძლივი მემკვიდრეობა. ახალი ევროპული კულტურის განრიგის ([New European Agenda for Culture](#)) ფარგლებში გამოცხადებული სამოქმედო გეგმა უნდა მომზადდეს და განხორციელდეს შესაბამისი საჯარო და კერძო პარტნიორების, სამოქალაქო საზოგადოების სრული ჩართულობით. ის, ასევე, უნდა იყოს ჰოლისტიური და ევროკავშირის პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტებთან, ამჟამინდელი ევროკავშირის საბჭოს დასკვნებთან ([conclusions of the EU Council](#)) სრულ შესაბამისობაში. მივმართავთ ისეთ მიზნებსა და პოლიტიკის სფეროებს, როგორებიცაა სოციალური ერთობა, რეგიონალური განვითარება, ურბანული განვითარება, სასოფლო განვითარება, გარემო, საზღვაო და ტურიზმის პოლიტიკა, მდგრადობის განრიგი და კლიმატის ცვლილების ადაპტაცია, კვლევა და ინოვაცია, ციფრული პოლიტიკა, განათლება და უნარები და, რა თქმა უნდა, ახალგაზრდობის ჩართულობა. აღნიშნულ სამოქმედო გეგმას დამატებით უნდა ჰქონდეს ძლიერი გარე განზომილება, გამომდინარე იქიდან, რომ ევროკავშირმა უნდა აიღოს გლობალური პასუხისმგებლობა და დაუკავშირდეს პარტნიორებს ევროკავშირის ფარგლებში და მის გარეთ. სამოქმედო გეგმა უნდა იყოს ფაროს კონვენციის ევროპის საბჭოს კულტურული მემკვიდრეობა საზოგადოებისთვის ღირებულების ([Faro Convention on the Value of Cultural Heritage for Society](#)), მისი ამჟამინდელი „ევროპული მემკვიდრეობის სტრატეგია 21-ე საუკუნისთვის“ ([European Heritage Strategy for the 21st century](#)), და „გაეროს 2030 წლის განრიგთან მდგრადი განვითარებისთვის“ ([UN Agenda 2030 for Sustainable Development](#)) შესაბამისი.

ქმედება 2 მემკვიდრეობა, როგორც ევროპული პოლიტიკისა და დაფინანსების პრიორიტეტი

სამომავლო ევროპული სამოქმედო გეგმის მხარდასაჭერად, ვიწვევთ ევროკავშირის დაწესებულებებს, რომ კულტურული მემკვიდრეობა სრულად აღიარონ, როგორც სტრატეგიული პრიორიტეტი მომავალი პოლიტიკური პროგრამების ([up-coming policy programmes](#)) და ევროკავშირის ახალი მულტი-ყოველწლიური ფინანსური პროგრამის ფარგლებში ([EU's new multi-annual financial framework](#)) (2021-2027). აღნიშნული წვლილს შეიტანს ევროპის ადამიანური და კულტურული კაპიტალის მნიშვნელოვანი ინვესტიციაში და ხელს შეუწყობს ევროპული ღირებულებების დაცვას. ამასთანავე, ჩვენ ყველა ვაგრძელებთ ევროპის მოსახლეობისთვის ცნობიერების ამაღლებას კულტურული მემკვიდრეობის მრავალი ღირებულებისა და სარგებლის შესახებ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომავალი ევროპული პარლამენტის არჩევნებისთვის 2019 წლის მაისში, და ახალი ევროპული კომისიის შემდგომი დანიშვნისთვის.

ქმედება 3 ადგილობრივის, ეროვნულისა და ევროპულის დაკავშირება

მმართველობის სხვადასხვა დონე არის მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის, როგორც საზოგადოების, ეკონომიკის, კულტურისა და გარემოს სტრატეგიული რესურსის სრული პოტენციალის გამოსავლენად. შესაბამისად, მოვუწოდებთ ევროპის ყველა სახელმწიფოს, რეგიონს, ქალაქს, რომ გააგრძელონ კულტურული მემკვიდრეობის კუთხით ჰოლისტური პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის განვითარება. ასევე, მოვუწოდებთ მათ, რომ გააძლიერონ დიალოგი და თანამშრომლობა შესაბამის ევროპულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოებასთან. შესაბამისად, აუცილებელია, რომ მთავრობის სხვადასხვა დონეზე - ადგილობრივიდან, ეროვნულიდან ევროპულის ჩათვლით - მიღებული პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა ერთმანეთს ავსებდეს და იყოს თანმიმდევრული.

ქმედება 4 შეუცვლელის დაცვა და გადაცემა

კულტურული მემკვიდრეობა უნიკალური და შეუცვლელია და მაინც, ხშირად ის დაუცველია და საფრთხის ქვეშ იმყოფება. შესაბამისად, ჩვენი კოლექტიური მოვალეობაა, რომ დავიცვათ ეს სიმდიდრე და მომავალ თაობებს გადავცეთ. ჩვენ თავი უნდა მოვუყაროთ აუცილებელ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს და ინვესტიცია ჩავდოთ უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაში, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი მემკვიდრეობის შესაბამისი დაცვა, განვითარება და გადაცემა, როგორც ფიზიკურად, ისე ციფრულად. ამ პროცესში ჩვენ სრულად უნდა ჩავრთოთ უნივერსიტეტები და მკვლევართა საზოგადოება, განვაავითაროთ ინოვაციური ბიზნეს მოდელები და წავახალისოთ მემკვიდრეობასა და ხელოვნებას შორის კრეატიული სინერგია. ასევე, უნდა გავიაზროთ ჩვენი მემკვიდრეობის არამატერიალური ღირებულება, რომელიც მუდმივად ავითარებს და ამდიდრებს ჩვენს საზოგადოებასა და საცხოვრებელ გარემოს.

ქმედება 5 ინვესტირება მემკვიდრეობის ხარისხიან რეგენერაციაში

ჩვენ კრეატიულობისა და ინოვაციების გამოყენებით უნდა უზრუნველვყოთ და განვხორციელოთ ადეკვატური საჯარო თუ კერძო ინვესტიცია მიმდებარე დასახლებებში, ქალაქებსა და სოფლებში მემკვიდრეობის ხარისხიან რეგენერაციაში; ის კულტურული მემკვიდრეობის ევროპის წლის დასაწყისში დავოს დეკლარაციის (Davos Declaration) მიერ ფორმულირებული მაღალი ხარისხის “Baukultur” - ის პრინციპებით არის შთაგონებული; და გამყარებულია მოქალაქეების, მათი საზოგადოებების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით. ამ კუთხით, მივესალმებით კრეატიულ ინტერაქციას მემკვიდრეობის დაცვასა და თანამედროვე დახმარებას შორის, რათა შევქმნათ გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მომავლის მემკვიდრეობის განვითარებას.

ქმედება 6 უკეთესი ცოდნისა და უფრო სიღრმისეული გაგების ხელის შეწყობა

კულტურულ მემკვიდრეობას უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ყველა ასაკის ადამიანისთვის. ეს ხელს შეუწყობს ხალხის უფრო მეტ ჩართულობას ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და გადაცემის საკითხებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისტორიის სწავლებას და მემკვიდრეობის ინტერპრეტაციას ევროპის წარსულ, აწმყო და მომავლის უფრო ფართო კონტექსტში. ეს ევროპის მოქალაქეებს და განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებს უშუალოდ ევროპას და ევროპასა და მსოფლიოს სხვა კულტურებს შორის ურთიერთობების უფრო სიღრმისეული ცოდნის და გაგების საჭირო უნარებს განუვითარებს. ყველა აღნიშნული აქტივობა დაგვეხმარება, რომ უფრო აზრიანი ურთიერთობები ჩამოყალიბდეს საზოგადოებასა და იმ ტერიტორიებს შორის, სადაც ისინი ცხოვრობენ, მუშაობენ ან სტუმრობენ. ეს, ასევე, ხელს შეუწყობს ევროპის ახალი მაცხოვრებლების ცნობიერების ამაღლებას, პატივისცემას და მათ ჩართვას პროცესში.

ქმედება 7 მამოძრავებელი ძალის გამოყენება

კულტურული მემკვიდრეობის ევროპულმა წელმა გააძლიერა მამოძრავებელი ძალის პოლიტიკა და ევროპის კულტურული მემკვიდრეობის ფართო მობილიზაცია. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ და გავაუმჯობესოთ სინერგია შესაძლო ფართო საზოგადოებასა და კერძო პარტნიორებს შორის, ევროპის და საერთაშორისო შესაბამისი ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩათვლით. ამის მისაღწევად ჩვენ გვჭირდება ადეკვატური ფორმულა ინფორმაციის შეგროვების, შესაძლებლობების განვითარებისა და დაცვის კოორდინირების მუდმივი პლატფორმის შესაქმნელად ევროპის კულტურული მემკვიდრეობისთვის.

ბერლინი, 22 ივნისი, 2018
Berlin, 22 June 2018

The Berlin Call can be signed online on the Europa Nostra website:
www.europanostra.org/berlin-call-action